№ 105, მაისის 22, ოთხშაბათი. 1866—1885 მაისის 22, ოთხშაბათი. № 105.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაბეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრულ[illegible] [illegible]ერდი 25 მანათი; პირველი 50 [illegible] [illegible]ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელნაწერება მოითხოვს, რედაქცი გასწორებს და შეამოკლებს დახმეტებულად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ამ ნომერში რა გვერდია.

საზოგადო კრება

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა, დანიშნული კვირას, მაისის 19 ვერ შესდგა, რადგან კრებაზე არ გამოცხადდა წევრთა კანონიერი რიცხვი და ამისათვის გადადებულ იქმნა ორშაბათისთვის, მაისის 27, საღამოს ექვს საათზე, თავადაზნაურთა სკოლის სადგურში.

საყურადღებო მოვლენა

ევსტ. მჭედლიძის მკვლელობის გამო.

თბილისი, მაისის 22-ს.

ავაზაკის ხელმა, შინაურ ბოროტ-მოქმედთაგან წაქეზებულმა და შესყიდულმა, საუკუნოდ გამოასალმა თავის სამშობლოს ყმაწვილი-კაცი, რომელსაც თავის ცხოვრების იდეალად ამ სამშობლოს სამსახური მიაჩნდა. მართლ მსაჯულება ცდილობს მიაგნოს ურცხვ ავაზაკს, რომელიც დღის სინათლესაც კი არ მოერიდა თავის საზარელი საქმის ჩასადენად და ვიდრე ეს შესრულდებოდეს, ბოროტ-მოქმედი ღირსეულს სასჯელს მიიღებდეს და საზოგადოება ჯეროვანს დაკმაყოფილებას,—უადგილო არ იქნება გაიხსენოთ, თუ როგორ იმოქმედა საზოგადოებაზედ ამ საშინელმა ამბავმა, რომლის საშინელება მისმა მოულოდნელობამ უფრო გააძლიერა.

ბამოტეხილი სჯობიან—პირველში ესეთმა მოვლენამ გული გაგვიტეხა და თითქმის იმედიც დავკარგეთ იმერეთის საზოგადოებაზედ. ბვქონდა კიდეც საბუთი ესეთის გულის-გატეხისა: როგორ! ამ საზოგადოების წევრთა შორის ჩაისახა ესეთი საზარელი აზრი და არა თუ ჩაისახა, გამოჩნდა კიდეც კაცი, რომელმაც თავს-იდვა ამ აზრის განხორციელება! „აზრი“! ოდვაც არის რომ ამ სიტყვასა ვხმარობთ ბოროტ-მოქმედთა უკაცურ განზრახვისათვის, იმ ბოროტ-მოქმედთა, რომელთაც ყოვლად-პატიოსანი კაცი ქუჩაში ტყვიით გახვრიტეს მხოლოდ იმისთვის რომ პატიოსანი იყო და უპატიოსნობას ხელს ვერ აფარებდა...

დიაღ, პირველში ეს ვიგრძენით მაგრამ რაკი პატარა ხანმა გაიარა და დრომ თავისი ჰქმნა, სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ერთისა და ორის პირის დანაშაულის მთელს საზოგადოებაზედ გადატანა უსამართლობა იქნება. მართალია, წრე რომელშიაც ევსტ. მჭედლიძის მკვლელისთანა პირები ტრიალებენ, ყოვლად წამხდარი და გარყვნილი უნდა იყოს, მაგრამ იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ეს წრე მეტად ვიწროა და იქნება მხოლოდ ორისა და სამის პირისაგან შესდგებოდეს, მაგრამ იმისთანა პირებისაგან, რომელთაც თავიანთ საზარელი და ყველასაგან ცნობილი ცოდვის გარდა ის ცოდვაც თავს იდვეს, რომ პირველად ამ ამბის შეტყობის შემდეგ მთელი საზოგადოება მათის ადლით გაგვაზომინეს და მათის სახით დაგვასახვინეს.

ორმა კვირამ გაიარა მას აქეთ, რაც ევსტ. მჭედლიძე მოჰკლეს და ამ ორის კვირის განმავლობაში მოსულმა წერილებმა და დეპეშებმა განგვიახლეს ის აზრი, რომ ჩვენი საზოგადოების საუკეთესო და მომეტებული ნაწილი ყოველსავე კარგს თანაუგრძნობს და ყოველსავე ბოროტსა სდევნის. ევსტ. მჭედლიძე თუმცა მუყაითი, პატიოსანი და მამულის უერთგულესი მშრომელი იყო, მაგრამ იგი ფარულად მოღვაწეობდა და თავის სრული სახელის მოწერაც-კი მეტიჩარობად მიაჩნდა. ამის მიუხედავად მისმა სიკვდილმა გულწრფელი მწუხარება გამოიწვია ყველასი და საზოგადოების იმისთანა ნაწილისაც-კი, რომელსაც ლიტერატურასთან ძალიან შორეული კავშირი აქვს. ბასაკვირველი არ არის, რომ პეტერბურგელი და მოსკოველი სტუდენტებისათვის ევსტ. მჭედლიძის სიკვდილს გული მოეკლას და სრული თანაგრძნობა გამოეწვიოს, გასაკვირველი ის არის, რომ ყოველ-დღე მოგვდის რედაქციაში ძლივს-ძლიობით დაბღაჯნილი წერილები, რომელთ წაკითხვაც-კი გვიჭირდება, მაგრამ აქა-იქ გამორკვეულ სიტყვებით ვხედავთ მხოლოდ, რომ ეს წერილები უბრალოდ, გულ-მარტივად და კალამ მარტივად თანაგრძნობით იხსენიებენ ევსტ. მჭედლიძეს და გულ-მარტივადვე სწყევლიან და კრულვენ მის მკვლელს.

ესეთი მოვლენა მცირე ნუგეშად მაინც უნდა ჩაითვალოს როგორც ჭირისუფლებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

შინაური ქრონიკა

ქოჯრის გზაზედ, ზედ ქალაქის პირთან, ახლად გამართეს „ზასტავა“, სადაც გამვლელ-გამომვლელს (ბოსეს) გზა-ტკეცილის ფულს ახდევინებენ. „ზასტავაზედ“, რასაკვირველია, არა ითქმის-რა; ვინც გზა გააკეთა, იმან უნდა გზის ფულიც აიღოს, მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ ფულის გამორთმევის წესი მეტის-მეტად ურიგოა და ყოველისფერი თითქმის „ზასტავის“ ზედამხედველების თვით-მნებელობაზეა დამყარებული: ვისაც რამდენი უნდათ, იმდენს ართმევენ. ამას წინად თურმე, ერთ გლეხკაცს ქირა მოჰქონდა რვა აბაზ-უზალთუნად ქალაქამდე და „ზასტავის“ ფული კი რვა აბაზი უანგარიშეს. „ზასტავის“ ზედამხედველები თურმე ყოველ გამვლელ-გამომვლელს მამასახლისისაგან შემოწმებულ ქაღალდსა სთხოვენ იმის დასამტკიცებლად, რომ ახლო სოფლიდამ მოდის და არა შორიდამ, მაგრამ თითო ბეჭედი მამასახლისისა ორი აბაზი ღირს და ეს ორი აბაზიც საგრძნობელ ფულს შეადგენს გლეხ-კაცისათვის. არ იქნებოდა ურიგო, აქ ეხლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავადი ბაგარინი დაეჭრა დადიშკელიანს ხელში, გულში და მუცელში. მისი მორჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამასთანავე მოეკლა ბაგარინის ჩინოვნიკი ნიკოლოზ ილინი და თარჯიმანი ტალხან არდიშვილი, დაეჭრა ბაგარინის მზარეული მაქსიმე და სამი სალდათი ლინეინის ბატალიონისა და ყველა ესენი ერთს კაცს.

როდესაც რომანოვმა ამ ამბის მბობა გაათავა, ორივენი მცირეს ხანს გავჩუმდით... შემდეგ ისევ რომანოვმა დაიწყო ლაპარაკი ფრანციცულად, რომ არავის გაეგო.

— იცით განსაკუთრებით რამ ამაღელვა და გამაბრაზა?—დაიწყო მან,—ედოფლის ლაპარაკმა ჭუთაისიდამ დაბრუნების შემდეგ. ჩემის აზრით იგი თავის ჭკუაზედ არ არის. წარმოიდგინეთ, რომ იგი რაღაც ნიშნის მოგებით მელაპარაკებოდა და გახარებული იძახოდა, რომ მისი ჯავრი სხვამ ამოიყარა, რომ თვითონ ღმერ-

სამეგრელო ეუშინ

(შემდეგი *)

ოქტომბრის 23-ს მე ბორდში უნდა ვყოფილიყავ, რომ ედოფალს თან გავყოლოდი. ამისათვის ამ დღეს დილით ადრე გავედი სენაკიდამ ჩემის ყაზახებით. გზაზედ ისე ფიქრში ვიყავ გართული, რომ ოდნავ შევნიშნე ჩემს ახლოს მიმავალი ცხენოსანი, რომელმაც თავი დამიკრა და ჩემს თარჯიმანს კი ანიშნა, რომ სათქმელი მაქვს რამეო. თარჯიმანი მივიდა მასთან და მცირე ხნის ლაპარაკის შემდეგ გამოატრიალა ცხენი და საჩქაროდ მოვარდა ჩემთან. მე შევდექი,—„ჭუთაისში დიდი უბედურება მომხდარა, მითხრა მან:—თავადი ბაგარინი ქოსტანტინე დადიშკელიანს აუჩეხია.“ ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა; ცხენოსანი მოვიხმე, იმანაც ეს მითხრა, მაგრამ დაუმატა, რომ დაწვრილებით ყველაფერი ვერ გავიგე, რადგანაც საჩქაროდ გამოვედი ჭუთაისიდამ, სადაც ხალხი საშინლად აღელვებულია. მე ეს ამბავი არა მჯეროდა. ცხენოსანი ჩემთან დავიჭირე და ვუბრძანე თან გამომყოლოდა, რომ ეს ხმა არ გაევრცელებინა, რადგან შეიძლებოდა ტყუილი გამომდგარიყო. მე ცხენის წყლისაკენ გაუხვიე, სადაც ყაზახები იდგენ და იქიდამ ჭუთაისამდის მხოლოდ 20 ვერსტი იყო. ყაზახების ბანაკში წერილი დავწერე შტაბ-ოფიცერ ბერტე დელაგარდისთან და ესთხოვდი დაწვრილებით ეცნობებინა ჩემთვის ეს სამწუხარო ამბავი. თავადი ბაგარინი, როგორც უფროსი და კაცი, ყველას ძალიან უყვარდა; იგი ძალიან კეთილის გულისა იყო. აქედამ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა გავლენა მოახდინა მისმა მოკვლის ამბავმა იმის ნაცნობებზედ. წერილის გაგზავნის შემდეგ ისევ ბორდში წავედი და გზაზედ სოფ. ბომუასხიდთან ნამდვილად გავიგე ბაგარინის მოკვლის ანბავი. ბაგარინის ცოლი იმ დროს ბორდში ყოფილიყო სტუმრად დადიანის მეუღლესთან და როდესაც ეს ამბავი გაეგო ორივე კნეინები მაშინვე ჭუთაისში წასულიყვნენ. ედოფალიც წასულიყო ჭუთაისში. შუაღამე იყო რომ იგი ბომბუას ხიდთან მოვიდა კარეტით; მას თან ბაგარინის ჩინოვნიკი მ. ი. რომანოვი მოსდევდა. იგი ძალიან შეწუხებული და დაღლილი იყო, ასე რომ ამის მეტი ვერა მითხრა-რა:

— ოხ, რა ენახე... რა ენახე, თქმა არ შემიძლიან... ყოველიფერს რომანოვი შეგატყობინებთ, მე კი ბორდში მივეშურები, ხვალ მივდივარ ბორდიდამ. თქვენ ნულარ შესწუხდებით, აქ დარჩით... ხვალ ვნახავთ ერთმანეთს.

ედოფალს მოართვეს ცხენი და მცირე ამალით ბორდში წავიდა.

როდესაც მე და რომანოვი დუქანში შეველით, სადაც იმ ღამეს უნდა დავრჩენილიყავთ, მან დაწვრილებით მიამბო სამწუხარო ანბავი. მეც მკითხველს დაწვრილებით შემდეგ ვუამბობ, აქ ეხლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავადი ბაგარინი დაეჭრა დადიშკელიანს ხელში, გულში და მუცელში. მისი მორჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამასთანავე მოეკლა ბაგარინის ჩინოვნიკი ნიკოლოზ ილინი და თარჯიმანი ტალხან არდიშვილი, დაეჭრა ბაგარინის მზარეული მაქსიმე და სამი სალდათი ლინეინის ბატალიონისა და ყველა ესენი ერთს კაცს.

*) იხილე „დროება“ № 104.

გო, რომ ეს წესი განმარტივებულიყოს და მგზავრებს უსარგებლო ხარჯი თავიდამ ასცილებოდეთ.

ⴱⴱⴱ რაკი გზაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, არ იქნება უდროო კახეთის გზის ამბავიც გავახსენოთ. ეს გზატკეცილი გარეშემო მდებარე სოფლის მცხოვრებლებისაგან არის გაკეთებული და გაკეთების უმალვე ხაზინიდამ გადიდვა ფული, რომელიც მათ უნდა დარიგებოდათ. მაშინდელმა მაზრის უფროსმა ურჩია გლეხ-კაცებს ამ ფულის წვრილ-წვრილად ჩამორიგების მაგივრად, ერთად შეენახათ, ბანკი გაეხსნათ და მასუკან ამ ბანკიდამ საერთოდ ესარგებლათ. მას აქეთ აგერ რამდენი წელიწადი მირბის და არც ბანკი სჩანს სადმე, არც ის ფული, რომელიც გლეხ-კაცებს უნდა დარიგებოდათ.

ⴱⴱⴱ ცხენის რკინის-გზის კამპანია შეუდგა კიდეც ვერის ხიდზედ რელსების დაწყობას და იმედია, რომ შემოდგომამდე, და იქნება უფრო ადრეც, ამ ხიდზედ ვაგონები დაიწყებენ სიარულს. აგრეთვე ასწორებენ და ქვასაც ჰფენენ იმ ადგილს, რომელიც ამავე ხიდის-ყურთანა სძევს და რომელზედაც სავაჭრო მოედანი უნდა გაიმართოს სოფლის ნაწარმოებთათვის.

ⴱⴱⴱ გამოჩენილი რუსის არტისტი, ივანოვ-კოზელსკი, რომელიც შარშან ზაფხულს ალტაცებით მიიღო თბილისის საზოგადოებამ, ამ დღეებში აპირობს კიდევ აქ მოსვლას თავის დასით და რამდენსამე წარმოდგენას გამართავს არწრუნისეულს თეატრში. პირველი წარმოდგენა, როგორც შევიტყეთ, იქნება სამშაბათს, მაისის 28-ს.

ⴱⴱⴱ ბაქოდამა გვწერენ, რომ იქაური ტელეგრაფის უფლოსის წყალობით დიდს შეწუხებაში არიან წვრილი ტელეგრაფისტები, რომელთა ისედაც მცირე ჯამაგირს ბლომად აკლდება ყოველ თვე სხვა-და-სხვა ჯარიმების გამოთა. მერე ჯარიმებს იმისთანა დანაშაულებებისათვის ნიშნავს, რომელნიც სრულიად დანაშაულობად არ ჩაითვლებიანო. დაწინაურებაზე ხომ ფიქრსაც ვერავინ ვერ გაჰბედავს და თუ, ვინიცობაა, ვისმე რაიმე უმეცარი უბედური შემთხვევა მოუხდა, ან საჭირო საქმე გაუჩნდა, დიდხანს უნდა ელოდებოდეს, ვიდრე ცოტა ხნითაც კი სადმე წასვლის ნებას მიიღებდესო.

ⴱⴱⴱ სოფელ ბარეჯვრიდამ (გორის მაზრა) გვწერენ: ამ რვა წლის წინად გარდაიცვალნენ გლეხნი: ივანე და ნასყიდა ჯურხუვიძეები. ამათ დარჩათ გარდაცვალების შემდეგ მცირე წლოვანი ყმაწვილები, ივანეს ორი და ნასყიდას სამი. ორნივ იყვნენ ღარიბნი და როგორც იყო არჩენდენ თავიანთ ოჯახს. ეხლა კი, სიკვდილის შემდეგ, შვილები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდენ, ამათთვის არავისგან არაფერი ნუგეში არ არის. თუმცა ობლებს ცოტა მიწა აქვთ და პატარა ვენახიც, მაგრამ ესენიც მებატონისა გახლავსთ და ბატონი თავისას არ დაიკლებს. მებატონეს ნაწილის გარდა რაც რამ დარჩება შემოსავლიდამ, ისიც ჩაფრებს და მამასახლისს უნდება. გარდა ამისა, როცა გლეხები გაჰყავსთ სამუშაოდ გზებზე, ამ მცირე წლოვანებს ისე ახვედრებენ გზაზე გაყვანეს და გარდასახადს, როგორც მდიდარ გლეხებს. რადგანაც ამ ობლებს მუშაობა არ შეუძლიანთ, ან უნდა დაიქირავონ კაცი თავიანთ მაგიერად, ან დაუკლან მამასახლისს და მის მოამხრეებს მსუქანი დედალი და ზედაც წითელი ღვინო დაუმატონ. სხვები ასე შეექცევიან სადილს და წითელ ღვინოს, მაგრამ ეს უნუგეშო ობლები კი საცოდავად ჰყრიან უპატრონოდ. კარგი იქნებოდა, რომ გორის მაზრის უფროსი უბძანებდეს მამასახლისს და ამ ობლებს აპეკუნს დაუყენებდენ, რომ მცირეც არის შეღავათი მიეცეს მათ.“

ⴱⴱⴱ მაისის 20-ს დანიშნული ქალაქის რჩევის სხდომა შიოევის სახლის თაობაზედ ვერ შესდგა, რადგან 36 ხმისანი ვერ მოგროვდა, და ერთი კვირით გადიდვა.

ⴱⴱⴱ ყველა ვაჭრულ საქმეთა, რომელთაც ადევთ გილდიის გადასახადი, დაუმატეს ახალი ხარჯი, ეგრედ წოდებული 3% გადასახადი. ამ ახალი ხარჯის სამართლიანი განაწილებისათვის თბილისის გუბერნიაში დაარსეს სახაზინო პალატასთან განსაკუთრებითი გუბერნიის ხარჯის გამწერელი დაწესებულება. ამ დაწესებულებას შეადგენენ: წევრნი პალატის საზოგადო დაწესებულებისა და თორმეტი პირი ადგილობრივი გილდიის ვაჭრების წოდებისა; ვაჭრების წარმომადგენელნი ირჩევიან სამის წლით: ექვსნი მათგანი ითვლებიან დაწესებულების წევრებად და დანარჩენი ექვსნი ამათ კანდიდატებად. ამ თორმეტს პირს ირჩევენ ამ წესით; ოთხს ირჩევს თითონ ვაჭრების საზოგადოება, ოთხს—ჰნიშნავს გუბერნატორი სახაზინო პალატის თავსამჯდომარის თანხმობით. ვაჭრების საზოგადოებამ და ქალაქის რჩევამ იმოირჩიეს კიდეც თავიანთ წარმომადგენელნი.

ⴱⴱⴱ „კავკაზსა“ სწერენ, რომ ს. ჭორთში (რაჭაში) და მის ახლო მახლო არის მადნები სხვა-და-სხვა ლითონთა, მაგ. სპილენძისა და ვეცხლისა. ნიმუშში ამ მადნეულებისა გაგზავნეთ მარსელში გასასინჯად, და იქიდან შემოგვითვალეს რომ ბევრი გამოგვიგზავნეთ მაგისთანა ნიმუშებიო. რომელიღაც ფრანცუზების კამპანიის აგენტი მოვიდა ჭორთში ფოთიდან, წაიღო აქედან რამდენიმე ფუთი ქვიშა და რამდენიმე ნატეხი მადნეულობისა და გაგზავნა მარსელში. მოუთმენლად ველით, რას შემოგვითვლიან მარსელიდანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ⴱⴱⴱ სურამიდან სწერენ გაზ. „მეღუს:“ ყოველ წელს იწვის ხოლმე აქაური ტყეები გაზაფხულიდან მოკიდებული შემოდგომის ნახევრამდე. წელსაც, ეტყობა, იგივე ამბავი იქნება, რადგან ეხლაცა სჩანს იმ ტყეებში კომლიო.

ⴱⴱⴱ ყველამ იცის, რომ ქალაქის გამგეობა, თვეში ორჯერ აცხადებს ხოლმე. პურისა და ხორცის მაზანდას. მაგრამ ვაჭრები სრულებითაც ყურს არ უგდებენ ამ მაზანდას და ჰყიდიან ისე, როგორც თითონ უნდათ. მაგ., პირველი ხარისხის ხორცის ფასი დანიშნულია 8 კაპ., ვაჭრები კი ამ ფასად მეორე ხარისხისას ჰყიდიან. ცხვრის ხორცი გაკვეთილია 9 კაპეიკად, ისინი კი 10 კაპ. ჰყიდიან. საჭიროა რომ გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას. („კავ“)

„დროების“ კორესპონდენცია.

ქ. თელავი, მაისის 8-ს. ვინ არ იცის, რომ თელავი უმშვენიერესი ადგილია მთელს აღმოსავლეთ კახეთში. წარმოიდგინეთ თელავის გულ-გადაშლილი ადგილი, ხასხასი მწვანით შემოსილი მთა-ველები, ყოველ ადგილს გამომჩქეფი წყაროები, საკმაოდ სიიაფე და დარწმუნდებით, რომ თელავი შეუდარებელი მხარე არის და არც შეცდომით უწოდებიათ მისთვის „კახეთის თაიგულობა“. პატარა სასეირნო ბაღი და გაბმული ბაზრები, სწორედ რომ მეორე ქუთაისს წარმოგიდგენთ თვალწინა. აქაც ჰხედავთ პატარა მოწინავე საზოგადოებას, მათში შეხვდებით არა ერთს და ორს „იდეალით სავსე“ პირს, რომელიც თავის ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის ზრუნავს.

მოწინავე პირებმა სხვათა შორის დააფუძნეს „დამზოგველი საზოგადოება“, სადაც ყველა იაფად და პირია-

---

თმა დასაჯა ბაგარინიო... ჩემი შვილების გაცარცვა უნდოდა... მე უმწეო ქვრივს ღმერთმა იცის სადა მგზავნიან! აი, ნახავ, რომ არც ბარიათინსკის შერჩება უსამართლობა; მასაც დასჯის ღმერთი; ყოჩაღია დადიშკელიანი, იგი გამოესარჩლა თავის თავსაც და ჩემს შვილებსაც... ეხლა მაინც არის გაიგებენ, რომ მთავრებთან ხუმრობა არ შეიძლებაო. ბოლოს იგი გაჩუმდა, მაგრამ დიდ-ხანს კი არა: მას აუტყდა სიცილი და ისტერიკა მოუვიდა. კარეტა დავაყენებინე და იქვე ახლოდამ წყაროს წყალი მოვიტანე და დავალევინე. დედოფალი დამშვიდდა და ისევ გზას გავუდექით. ამის შემდეგ იგი სულ ჩუმად იყო...

მე და რომანოვმა თითქმის გათენებისას დავიძინეთ.

მეორე დღეს, ცხრა საათზედ, ჩვენ კოლიუბაკინმა გაგვაღვიძა, რომელიც დედოფლის გასაცილებლად მოსულიყო. შუა დღისას თვით დედოფალიც გამოჩნდა თავის ამალით; ბომბუას ხიდთან იგი ცხენიდამ კარეტაში გადაჯდა და ყველანი გზას გავუდექით. საღამოზედ ორპირში მივედით, სადაც დედოფლის ბარგიც მოიტანეს. ბავშვები მგზავრობამ დაღალა; იგინი მალე დავაძინეთ და მცირე ხნის შემდეგ ჩვენც გამოვეთხოვეთ დედოფალს და წავედით ოთახებში დასაძინებლად.

დადგა ოქტომბრის 25. ამ დღეს დედოფალი უნდა გამგზავრებულიყო. რიონის ნავთსადგურთან დედოფლის სახლობისა და ბარგისათვის სამი ხომალდი იდგა. საუზმის შემდეგ ერთმანეთს უნდა გავშორებოდით. ჩიქოვანების ქალები და კაცები დედოფალს ხელებზედ და ტანისამოსზედ ჰკოცნიდენ. ყველანი ტიროდენ. მე და კოლიუბაკინსაც აგვიჩუყდა გული.

აი, მოვიდა დედოფალი ჩვენთან და მოეხვია კოლიუბაკინს:—შემინდევ, ნიკოლოზ პეტრეს ძევ... შემინდეთ და შემიბრალეთ მე უბედური ქალი... ამ დროს იგი მშვენიერება რამ იყო. კოლიუბაკინს ცრემლები გადმოსცვივდა...

შემდეგ იგი ჩემთან მოვიდა, მომეხვია და ცრემლებით დამასველა.

— შემინდეთ, შემინდეთ.., ცუდად ნუ მამიხსენებთ... უკანასკნელი ჩემი თხოვნა ეს არის, რომ ჩიქოვანებს არ აწყენინოთ, იმათ თქვენ გაბარებთ... იგინი თქვენ გეწინაამდეგებოდენ... ნუ დასჯით მათ.

როდესაც იგი ხომალდში იჯდა, უეცრად რაღაც მოაგონდა და დამიძახა.

— იცით რასა გთხოვთ მე თქვენა? სალხინოში მშვენიერი ბოსტანი მაქვს, ძვირფასი მწვანილეულობა სთესია: ჩემს—სახსოვრად ფეშქაშად მიიღეთ.“ სახლთ ხუცესსაც უბრძანა მიეცა ჩემთვის.

— ამ ქრთამს ჩიქოვანებისთვის გაძლევთ,—მითხრა მან ღიმილით.

ხომალდები დაიძრენ. დიდხანს ვიდექით ნაპირზედ, გემში მსხდომნი ხელსახოცებს გვიქნევდენ, სანამ თვალთაგან არ მიგვეფარენ.

მას აქეთ ოც-და-რვა წელიწადმა გაიარა და როდესაც ნათამაშევი დრამის აქტიორები ბევრნი აღარ არიან დაუყოყმებლად შემიძლიან ვსთქვა, რომ 1857 წელი ოქტომბრის 25 ბედნიერი დღე იყო სამეგრელოსათვის. დედოფალი ამ ხნის განმავლობაში ხან პეტერბურგში ცხოვრობდა და ხან სამზღვარ გარეთს. ბოლოს სამეგრელოში დაბრუნდა, როგორც უბრალო თავადიშვილის ცოლი და სულ ზუგდიდში ცხოვრობდა, სადაც მშვენიერის არხიტექტურის ახალი სასახლე აიშენა. გრიგოლ დადიანს სრულიად შეურიგდა და განუყრელად თავისთან ჰყავდა. იგინი ხშირად იგონებდენ ხოლმე წარსულს დროს, ერთმანეთ შორის უკმაყოფილებას და ბევრს იცინოდენ ხოლმე. 1882 წელს დედოფალი გადაიცვალა 66 წლისა, გულის ავადმყოფობისაგან, მას გარს ეხვივნენ შვილები და შვილის შვილები დამარხულ იქმნა მარტვილის მონასტერში, თავის ქმრის გვერდით.

(შემდეგი იქნება).

ნად იყიდება. არა ერთი და ორი პირისაგან გამიგონია მე თითონ, რომ „თუ ვყიდულობთ რასმეს თელავში პირიანად, ისევ დეპოში, თორემ სხვა მოვაჭრე პირებისაგან ღმერთმა დაგვიფაროსო“!.. აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ხალხიც და საზოგადოებაც კეთილის თვალით უყურებს „დამზოგველ საზოგადოებას“, თუმცა კი უნდა მოგახსენოთ, რომ მმართველობამ ცოტა არ არის თავი მიანება საქმის წესიერად წაყვანას.

დღეს „დამზოგველი საზოგადოების“ მოვაჭრე სახლი, სწორედ რომ გალარიბებული მეწვრიმანის დუქანს წარმოგვიდგენთ თავის პატარა მეგირდითა; საქონლის ერთმანეთში დომხალივით არევას, უწესობას და უყურადღებობას საზღვარი აღარა აქვს. რასაკვირველია, ეს მმართველობის ბრალია და არ ვიცით, რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ბ.ბ. მმართველებს ასე ხელი აუღიათ თავიანთ წმინდა და პატიოსან საქმეზედ.

ამ ერთი ორი წლის წინად, როდესაც მე კვალად შემთხვევით მომიხდა „დამზოგველ საზოგადოების“ სავაჭრო სახლში ზოგი რამის ყიდვა, სხვათა შორის ვნახე აგრეთვე გასასყიდლად ქართული წიგნები და უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ მესიამოვნა. დღეს კი აქ ქართული წიგნების კვალსაც ველარ შევჰხვდებით! როდესაც ვიკითხე, რა არის მიზეზი, რომ ქართული წიგნები აღარა გაქვთ გასასყიდად მეთქი,—მიპასუხეს, რომ არ იყიდებოდა (ვითომც?) და ამისათვის ყუთში ჩავაწყვეთ და გვინდა ისევ პატრონს გავუგზავნოთო. არა მგონია, რომ მმართველობას ამის თქმის მიზეზი ჰქონდეთ, რადგანაც ვერ წარმოვიდგენ, რომ ისეთს სამაზრო ქალაქში, როგორიც თელავია, ქართული წიგნების მყიდველები არ იყვნენ. ამის მიზეზი ჩემის აზრით უფრო ის უნდა იყოს, რომ საზოგადოებას რიგიანი გამგე პირი არა ჰყავს...

თქვენს მტერს რომ გოლვამ და უწვიმობამ ჩვენ კახელები საკმაოდ შეგვაწუხა, და თუ ამ ცოტას ხანშიაც არ მოგვატანა წვიმამ, მაშინ ნახნავებზედ სრულებით უნდა ავიღოთ ხელი და ვაი-ვაგლახის ჰირნახულით მოყვანილი ყანები საქონელს მოვაძოვოთ.

ორი დღის სტუმარი ნიკო.

უცხოეთი

ვიკტორ ჰიუგოს მიცვალება.

ჯერ კიდევ ოთხის დღის წინად საფრანგეთის გამოჩენილმა ექიმებმა გადასწყვიტეს იმედი ვიკტორ ჰიუგოს მორჩენისა. ისინი სცდილობდენ მხოლოდ, რაც შეიძლებოდა შეემცირებინათ უკანასკნელი ტანჯვანი სულთმობრძავის დიდის პოეტისა. ღამე, მაისის 10, შფოთვაში გაატარა ჰიუგომ და მხოლოდ დილით წაიძინა მცირეს ხნით. გულის ცემა თან-და-თან დუნდებოდა. დილის 9 საათზე ექიმებმა გამოაცხადეს, რომ ავადმყოფის მდგომარეობა საშიშიაო. სიცოცხლის უკანასკნელ საათში ჰიუგოს გონება დაეკარგა. მიღების წამს ჰიუგომ წამოსწია თავი, შემდეგ წამსვე ჩაჰკიდა—თითქოს ვილასაც თავი დაუკრაო, და განუტევა სული.

„ერთად-ერთი ფაქტი, ჯერ უნახავი მოვლენაა ამგვარი ეროვნული გრძნობის გაღვიძება მწერლისადმი,—იწერება „ნოვოსტის“ პარიჟელი კორესპონდენტი.—ამის გვარი არა მომხდარა-რა ჩვენს საუკუნეში. ბევრნი დაუმარხავთ დიდებული და უსაყვარელესი მწერალნი: მოვიგონოთ ბერანჟეს დასაფლავება პარიჟში და ტურგენევისა—პეტერბურგში. მაგრამ აქ მოულოდნელი ავად-გახდომა პოეტისა მთელს მოვლენად გადიქცა, ყოველი საგანი, დარდი, დღის ვარამი უკან დაიტოვა. გარეშე პოლიტიკა გაქარწყლდა; შინაგანი—არვის ახსოვს: პალატანი, მინისტრნი თითქოს არც-კი არსებობენო. გაზეთებს იტაცებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგონ: არის თუ არა რამ ნუგეში... ზღვა ხალხისა მიეშურება განუწყვეტლივ ვიკტორ ჰიუგოს სადგომისაკენ... საზარელი ამიდი იყო, როცა ჩვენ მივადექით სახლს „№ 50, Avenue Victor Hugo“. მეთერთმეტე საათმა დაჰკრა. კარზე რამდენიმე ფიაკრი იდგა. კარი ღიად იყო. წინკარში რემდენიმე კაცი ვნახეთ, უეჭველია, რეპორტიორები იყვნენ. ესენი მოუთმენლად ელოდენ რალასაც თუ ვილასაც. მარცხნივ სასტუმრო-ოთახი მნახველებით იყო სავსე. სიჩუმე მეფობდა, ყველანი რაღასაც მოელოდენ. სტოლზე იქვე დიდი დავთარი ძევს, შიგ ეწერებიან მსურველნი. მთელი პარიჟი შიგ არის მოქცეული ამ დავთარში, მთელი პარიჟი პოლიტიკისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა...

— როგორ არის?—ჩუმად დავეკითხე ერთს.

— მხლავ იქნება ბიულეტენი, ჩამოვლენ ექიმები.

გავიდა სამი წამი: კიბეზედ წამოვიდა მოხუცი ექიმი დაღვრემილის სახით. მისცვივდენ გამოსაკითხად.

— ბიულეტენი შედგენილია—სწრაფად მიუგო მან ყველას და საჩქაროდ წავიდა.

მას მოჰყვა მეორე ექიმი. ამან გადმოგვცა ფურცელი, სადაც აღნიშნული იყო ფილტვების შეგუბება (engorgement). ყველამ ვიგრძენით, რომ საიმედო აღარა დარჩენილა-რა.

მაგრამ მოხუცი—საოცარის ჯანმრთელობისაა. იგი, შემდეგ რამდენჯერმე გულის-წასვლისა, თვით იჩოქებს ლოგინზე და ისწორებს სასტუმალს. მასთან არიან გარდა მისის შვილის-შვილისა, ლოკრუას მეუღლისა, (ადრე ჰიუგოს ერთის შვილის ცოლისა) ამის ქმრისა და მისი მეგობრების ვაკერისა და მერისისა, ორი ექიმი ალექსის და ალფრედ ნაკე.

ჰიუგოს ანდერძი დაწერილია. იგი გარდაიცვალა თავისუფალ მოაზრედ. პარიჟის არქიეპისკოპოსი, თუმცა უქეიფოდ არის, მაგრამ მაინც თვით გამოაცხადა სურვილი ავადმყოფის ხილვისა. მას უპასუხეს პოეტის სურვილით, რომ არც ერთი სასულიერო წოდების პირი არ მიუშვან მასთან“.

მიცვალების წინ-ღამეს პოეტს სრული მეხსიერება დაბრუნებია, თუმცა ხან გამოშვებით სული კიდევ ეხუთებოდა. განთიადისას მან ჩუმად წარმოსთქვა: „მშვიდობით ჟან!“, შემდეგ ხელით მოიწვია ლოკრუას მეუღლე ეკოცა ხელზე და დაჰკარგა კიდეც გრძნობა. დაიწყო ბრძოლა სიკვდილ სიცოცხლისა. ხან-გამოშვებით დიდებულს პოეტს მეხსიერება კვლავ უბრუნდებოდა. დილის შვიდს საათზე მან მოიხმო ჟორჟი, აკოცა მას და გარკვევით ჩუმად წარმოსთქვა: „განშორება“. ცხრის ნახევარზე მოვიდენ ექიმები ვულპიანი და სე, მაგრამ პოეტი სულ-მობრძავი იყო. მხოლოდ მაჯის სუსტად ცემა-ღა ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ არ მიღებულა სრულიად „საფრანგეთის მზე“. ყველანი ოთახში რჩებიან და უცდიან უკანასკნელ წამს სიცოცხლისას. 1 საათზე და 27 წამზე სულთ-მობრძავმა, აილო თავი, გავიდა ერთი წამი—ვიკტორ ჰიუგო განესვენა! ერთმა იქ მყოფმა წამსვე დააყენა კედლის საათი. სახლის წინ პატარა ბაღჩაში მაშინვე დაჰკრიფეს ვარდები და მოართეს ცხედარი.

ზარ-დამცემი ამბავი ელვასებ მოედო პარიჟს და მიცვალებულის სადგომისაკენ დაიწყო დენა აუარებელმა ეკიპაჟებმა. მოვიდენ: კამილ დუსე, სენის პრეფექტი, მუნიციფალური რჩევის წევრნი, მინისტრნი, სენატის პრეზიდენტი ლეროაიე — ცრემლთა დენით, მინისტრი-პრეზიდენტი ბრისონი... და სხ. მცირე ხნის შემდეგ მოვიდა სარა ბერნარი სამგლოვიარო ტანისამოსით. ყველაზედ უწინ-კი მიცვალების პოეტის სათაყვანის-მცემლად მოვიდენ ჟულ-სიმონი მეუღლით.

სარდუ, ცხარეს ცრემლით მტირალი გამოვა და გამოაცხადებს პოეტის გარდაცვალებას. მხატვრები აიღებენ ვიქტორ ჰუგოს სურათს... ერთი რეპორტიორი სთხოვს ლოკრუას დაწვრილებით ცნობებს პოეტის სულთმობრძაობისას. ლოკრუა ეუბნება ეხლა მაგის დრო არ არისო.—„ვიქტორ ჰიუგოს სულთ-მობრძაობა ეკუთვნის მთელს ქვეყანას,—ეუბნება გაზეთის თანამშრომელი,—და თქვენ არა გაქვთ უფლება თქვენთვის შეინახოთ იგი, არ გაგვიზიაროთ ჩვენ.“

რესპუბლიკის პრეზიდენტი ღრმა თანაგრძნობის წერილსა სწერს ლოკრუას ვიქტორ ჰიუგოს დაკარგვისგამო არა მარტო საფრანგეთისა არამედ მთელის განათლებულის ქვეყნისათვის.

მაისის 10-ს, სენატის სხდომაზედ, პრეზიდენტმა განაცხადა ვიქტორ ჰიუგოს გადაცვალების ამბავი ამ სიტყვებით: „ვიქტორ ჰიუგომ, რომელიც 80 წლის განმავლობაში აკვირვებდა არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელს ქვეყნიერებას, განისვენა უკვდავების ქვეყანაში. მისი სახელი და დიდება არ ეკუთვნის რომელიმე ერთს დასს; ის საკუთრებაა მთელის დასების განურჩევლად“!.. ამის შემდეგ „მგლოვიარების გამო“ სენატი დაიხურა. დეპუტატთა პალატაში ბრისონი აცხადებს, რომ მმართებლობა ვიქტორ ჰიუგოს მიცვალებას ნაციონალურ გლოვად სთვლის და განზრახვა აქვს თვისის ხარჯით დაასაფლავოს საფრანგეთის დიდება. ამის შემდეგ პალატის სხდომაც დაიხურება, როგორც სენატისა.

უკანასკნელი სურვილი, რომელიც ვიკტორ ჰუგომ განუცხადა 1883 წელს ოგიუსტ ვაკერის სულ რამდენიმე სტრიქონს შეიცავს:

„ორმოც-და-ათი-ათასს ფრანკს მე ვუანდერძებ ღარიბთა და მსურს დავიმარხო ისე, როგორ ისინი იმარხებიან. არა მსურს რომ ჩემზედ, რომელი სარწმუნების წესითაც უნდა იყვეს, გადახდილ იქმნეს წირვა-ლოცვა და ვითხოვ, რომ ყველანი გულში ლოცულობდენ ჩემთვისა. მრწამს ღმერთი. ვიკტორ ჰიუგო.“

ამ ანდერძის გარდა ჰიუგომ დაუტევა მეორე ვრცელი ანდერძი შვიდი პირისაგან ხელ-მოწერილი და მათ შორის ჟულ ფავრისაგანაც. ამ საბუთის ბეჭითი შინაარსი ჯერ არ უწყიან, მხოლოდ ჰფიქრობენ-კი, რომ იგი შეიცავს სრულს პოლიტიკო-ლიტერატურულს პროგრამას და რომ მასშიც გამოთქმულია ვიქტორ ჰიუგოს სურვილი, რომ მისი დასაფლავება მოკლებული იყვეს ყოველ გვარს სარწმუნოებრივს ხასიათს...

ვიკტორ ჰიუგოს დარჩა 5 მილ. ქონება და ეს სულ როჩშილდის ბანკშია. ამას გარდა ვიკტორ ჰიუგოს დარჩა სახლი ჰერნსეიში (ინგლისში).

ვიკტორ ჰიუგოს ოჯახობას შეადგენს: ლეოპოლდ ჰიუგო, პოეტის უფროსის ძმის შვილი; ჟორჟი და ჟან ჰიუგონი,—პოეტის შვილის-შვილნი; ლოკრუას მეუღლე,—პოეტის ნარძლევი და შენეს მეუღლე, ცოლის და ვიკტორ ჰიუგოსი. გარდა ამისა ჰიუგოს დარჩა ერთი ჭკუიდამ შემცდარი ქალი—ადელი ჰიუგო, რომლის სამწუხარო ხვედრი საყოველთაო თანაგრძნობას იპყრობს. მამის ნება-დაურთველად ადელი გაჰყვა ერთს ინგლისელ აფიცერს ინდოეთში და იქიდამ ჭკუ-შემცდარი დაბრუნდა ერთის ზანგის მოხუცი დედა-კაცით. ადელი ჰიუგო ამ ჟამად იმყოფება პარიჟის ერთს საავადმყოფოში, სადაც მამა ყოველს კვირას ნახულობდა ხოლმე თავის უბედურს ქალს.

პოეტის ქონება დაბეჭდილია. ყოველი მისი ხელ-ნაწერები ნაციონალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის, პოეტის სურვილისა-მებრ. პოეტს დარჩა დიდ ძალი ხელ-ნაწერები. მას ჩვეულებად ჰქონდა სქელს ჰოლანდიურს ქაღალდზე წერა სხვილის ხელით.

ინგლისი. „ლურჯი წიგნისა“ და პალატების ზოგიერთ წევრთა, მათ შორის, უმეტესად, ლორდ ჩერჩილის

გაკიცხვამ აიძულა ბრიტანიის სამინისტრო გამოეცხადებინა, რომ ინგლისის მმართველობას არასფერი არ დაუთმია რუსეთისათვის, რომ იგი კვლავ არ ანებებს სიფრთხილეს თავს და საომარს მზადებას დღესაც მიჰყვება. მართლაც, ამ უკანასკნელს ხანებში თითქოს ისევ ხელ-ახლად იწყება „რალაცა“—მერუჩაკის და ზულფიკარის თაობაზედ ვერ მორიგებულან მოდავენი. და რომ მორიგება ჯერ-ჯერობით, საიმედო არ არის, ამის უმართლესი მაჩვენებელი ბირჟაა, რომელმაც მკირეოდნად დაიწია იმ კვირაში.—იმ კვირაშივე ინგლისის პარლამენტში უმეტესობა წევრთა იმ აზრისა იყო, რომ ინდოეთის დასაცველად თვით ინდოეთი უნდა გავამაგროთო; სცდებიან, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ, ეითომ, ჰერათი ან ქაბული იყვეს კლიტე ინდოეთისაო. ინდოეთის კლიტე, მისი ფარი ამ ქვეყნის კარგად, ბეჯითად გამაგრებული საზღვრები არისო და სამუდამოდ იქმნებაო... ასე ჰფიქრობდენ და ასეც ამბობდენ, მაგრამ დღეს ისევ მერუჩაკსა და ზულფაკარის გასავალებზეა დავა, დღეს საკმაო რიცხვი პალატის წევრებისა ისევ გაიძახიან, რომ ავღანი უნდა იქმნეს გამაგრებული, ხელ-უხლებელი და მაშინ არც ინდოეთის ხელ-უხლებლობისა შეგვეშინდება ჩვენაო.—და ამ დროს, როდესაც ინგლისელები ასე რიგად ზრუნავენ ავღანის გამაგრებისათვის—თვით ემირი სასოწარკვეთილებას მისცემია რუსების თითქმის გამარჯვებით. იგი იმდენად დავარდნილაო სულით, როგორც იწერება Standard-ი, რომ მზაა მიჰყიდოს თავი რუსეთს, რადგან ეშინიან—არ გაუცრუვდეს ინგლისის შეპირება დახმარებაზედო... აქამდის და ეხლაც გაზეთები იმასაც იწერებოდენ, რომ ემირი თავის სამფლობელოზე არ გაატარებს ინგლისელ ჯარსაო. მაშ რაღა შეპირების გაცრუვებისა უნდა ეშინოდეს ემირს, თუ რომ, როგორც გაზეთები იწერებოდენ, მას არა ჰურს ინგლისის ჯარები შეუშვას ავღანში და უამისოდ ხომ რა პირობა უნდა დაედვა მისთვის ინგლისს.

იტალია. მაისის 20 (8) რომში მინისტრის მანჩინის თაოსნობით შეკრიბილს სანიტარულს კონფერენციას ჰქონდა სხდომა. მანჩინიმ გახსნა კონფერენცია და წარმოსთქვა სიტყვა ამის დანიშნულებაზედ. კონფერენციას შეადგენენ წარმომადგენელნი ოც-და-ოთხის სახემწიფოისა. მათში ურევია ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მაგ., პროფესორი კოხი. უმთავრესი განსასჯელი საგანი კონფერენციისაგან. ხოლის წინააღმდეგ ზომათა გამოძებნაა.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 20-ს.

სმოლენსკი. დიდის ამბით „გურთხეს გლინკას მეგლი.

ლონდონი. გაზ. „Daily News-მა“ დაბეჭდილია ლორდ გრენვილის ბერძო მდივნის წერილი მასზედ, რომ ამ გაზეთმა მიიღო ტეუფიკი ცნობანი შესახებ რუსეთისა და ინგლისის შორის მოლაპარაკების ავღანის საზღვრის გამო. მოლაპარაკებ ჯერ არ გათავებულა.

პარიზი. ტრიუმფალურ არკასთან და უფალა ამ ქუჩებზედ, ს